



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაღაშვილი სპარტაკ ლევანის ძე

ბაღაშვილი სპარტაკ ლევანის ძე (7. VIII. 1914, თბილისი, – 1. II. 1977, თბილისი), კინომსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1963). სტალინური პრემიის ლაურეატი (1941).

დაამთავრა თბილისის სატყეო ინ-ტი (1937) და თბილისის კინოსტუდიასთან არსებული კინომსახიობთა სკოლა (1944). კინოში მიიწვია კინორეჟისორმა მ. ჭიაურელმა სახალხო გმირის – არსენა ოქელაშვილის როლზე ფილმში „არსენა“ (1937). წარმატებულ დებიუტს მოჰყვა გმირულ-რომანტიკული სახეები ამავე რეჟისორის ფილმებში: „დიადი განთიადი“ (გიორგი ღუდუშაური, 1938, – სტალინური პრემია, 1941) და „გიორგი სააკაძე“ (ლუარსაბ II, 1942-43). ამავე პერიოდში მონაწილეობდა კ. პიპინაშვილის ფილმებში „ქაჯანა“ (ვანო-სოფლის მასწავლებელი, 1941) და „პოეტის აკვანი“ (სამი როლი: ვაჟა-ფშაველა, მეწისქვილე და გამზრდელი, 1947). ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კვლავ გამოჩნდა ეკრანზე მთავარ როლში (მეცხვარე მარტია) ფილმში „თეთრი ქარავანი“ (რეჟ-ები თ. მელიავა, ე. შენგელაია 1963). მომდევნო წლებში შექმნილი მნიშვნელოვანი ეკრანული სახეებია: ხევისბერი („ხევისბერი გოჩა“, რეჟ. ნ. სანიშვილი, 1964), იური მალფარი („მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“, რეჟ. ს. ფარაჯანოვი, 1964, უკრაინა), ბობო-კალონი („ნისო“, რეჟ. მ. არიპოვი, 1965, ტაჯიკეთი), მინდია და ღვთისია („ვედრება“, რეჟ. თ. აბულაძე, 1967), პოეტის მამა („ბრონეულის ფერი“, რეჟ. ს. ფარაჯანოვი, 1968, სომხეთი), ლუკაია („მე ვხედავ მზეს“, რეჟ. ლ. ღოღობერიძე, 1965), ჭანყვათი („ცისკრის ზარები“, რეჟ. ყ. მგელაძე, 1967), ქალუნდაური („დიდოსტატის მარჯვენა“, რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი, დ. აბაშიძე, 1970), თავადი („გათენების წინ“, რეჟ. ყ. მგელაძე, 1971), მებორნე („მთვარის მოტაცება“, რეჟ. თ. მელიავა, 1973); მონაწილეობდა ფილმებში: „კოლხეთის ჩირალდები“ (რეჟ. დ. რონდელი, 1940), „წყალდიდობა“ (რეჟ. თ. გომაძე, 1970), „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი“ (რეჟ. ო. აბესაძე, 1970), „ანარეკლი“ (რეჟ. ო. აბესაძე, 1974), „კოლხეური ბალადა“ (რეჟ. გ. ხოჭავა, 1975) და სხვ.

ბ-ს, როგორც მსახიობს, გარდასახვის უტყუარი ნიჭი გააჩნდა. მის მიერ განსახიერებული გმირებისთვის დამახასიათებელია უშუალობა, გულწრფელობა, ზნეობრივი სინმინდე და ემოციურობა. გამოირჩეოდა ჩინებული ტემბრის ხმით.

მიღებული აქვს სახელმწ. ჭილდოები.

დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: Рондели Л., Спартак Багашвили, М. 1966.

ძ. კერესელიძე
